21.07.2025

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2025 წლის ივნისი

იმპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით გაიზარდა 1.8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის ასევე 1.8 პროცენტიანი მატება.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ფასები 1.5 პროცენტით შემცირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების 2.2 პროცენტიანი ზრდა ფიქსირდება, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე - ფასების 45.0 პროცენტიანი მატება. რაც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 26.9 პროცენტიანი ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის ივნისში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2024 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**101.8**	**1.79**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავება**	**98.5**	**-0.09**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**102.2**	**2.05**
10	კვების პროდუქტები	111.0	0.98
29	ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მისაბმელები და ნახევარმისაბმელები	109.7	1.62
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**145.0**	**-0.20**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**126.9**	**0.04**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge